# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 77 | კვირა, 22 დეკემბერი 1902 წ. | გაზეთის № 2021.

### «მცრუვანა ჭივჭავი და მართლის მოყვარე კოდალა»

**მ. გორკისა**

(თარგმანი)

(ვუძღვნი განდეგილს)

ეს მართალი ამბავია და მინდა ასე დავიწყო:

„იმ ჭალაში, სადაც ეს ამბავი მოხდა, უცბად ყველა მომღერალ ფრინველთაგან ერთმა თვისი სიმღერებით საზოგადო ყურადღება მიიპყრო. მისი სიმღერა ცარიელი იმედებით კი არა, დაბეჯითებული რწმენითა და გადაწყვეტილებით იყო სავსე.

უცბად გამოცვლილ პირქუში ტაროსით შეშინებული ფრინველნი უწინაც მღეროდნენ ხოლმე ჭალაში, მაგრამ მათ ჟღურტულს მხოლოდ იმიტომ ეძახდნენ სიმღერას, რომ მით გატაცებული ფრინველნი თითონ ამბობდნენ ვმღერითო; მათში სევდიანი და უიმედო ნოტები სჭარბობდნენ მუდამ. პირველ ხანებში მსმენელი ფრინველნი მათ სიმღერას კი არა, მომაკვდავის ხრიალს ეძახდნენ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა ყური შეაჩვიეს, მოსწონდათ და, ასე გასინჯეთ, ისე შორს წავიდნენ, იმ ლამაზს და მშვენიერ მხარეებსაც ბევრსა ჰხედავდნენ მასში, მცა ამ ძალდატანებულ მსჯელობაში ცოტა შრომა არ ჰრდებოდათ.

ჭალაში ავან-ჩავანები უწინ ყვავები იყვნენ, ისინი სდებდჭალას სიცოცხლის ელფერს, ხმაურობდნენ ყვავები, რო-



გაკვეთილების შემდეგ.—სურათი შპიცერისა.

მელნიც მარტო ხმა-მაღლა ყვირილს თუ მოახერხებდნენ, თორემ სხვა ვერაფერში გამოდგებოდნენ. სხვა დროს მათ ყურადღებასაც არ მიაქცევდნენ, მაგრამ ეხლა კი, როცა ყვავ-ყორანთა ხმა სჭარბობდა ყველას და დანარჩენთ ხმა გაეკმინდათ, ყვავებს არამც თუ ყურს უგდებდნენ, მეტად გონიერ და ჭკვიან ფრინველებათაც კი სთვლიდნენ. ამისთანა ყურადღებით წათამამებული ყვავ-ყორანნიც არ იშლიდნენ და სევდიანად გასძახოდნენ.

ყრანტ!.. სასტიკ ბედთან მწარე ბრძოლაში
ხსნა არ გვაქვს, ჩვენ ვართ არარაობა,
რასაც თვალი სჭვრეტს, ყოველი ესე
ტანჯვაა, კვნესა და გახრწნილობა.
ყრანტ!.. მწვავე არის ბედისა ლახტი,
დაე მას ბრძენი დაემორჩილოს.

ყრანტ, ყრანტ!.. თუმცა სევდითა და ვარმით იყო სავსე ყვავის სიმღერა, ძალა კი მაინც არ აკლდა, რადგან ყველას სჩაგრავდა და უსაზღვროდ იმორჩილებდა.

სევდითა და ვარმით მოცულ ჰაერში უცბად გაბედული და რიხიანი ხმები გაისმა.

ჭალა, რომელსაც ერთხელ და ორჯერ არ გაეგონა სიმღერა-გალობა, უცბად შეშფოთდა, გატაცებით წაუგდო ყური და გაკვირვებული შეხმაურდა. ბულბულნიც კი, რომელნიც მუდამ კარგათ მღერიან, როგორც წმიდა ხელოვნებისა და მშვენიერების მსახურნი, სიამოვნებით ისმენდნენ საუცხოვო ხმებს და გაკვირვებულნი გაიძახოდნენ:

„ამ მომღერალს ღვთის ნიჭი კი ეტყობა, აი!“

ამბობდნენ და გულში ამაყობდნენ—თვის მიუდგომელობით თავი მოჰქონდათ.

— „გესმით!“—ეკითხებოდნენ ერთი მეორეს და ღიმილით ისმენდნენ სიმღერას.

მომღერალი ამბობდა:

მესმის, ყვავები მწარედ სჩხავიან,
ბნელით და ტანჯვით შეძრწუნებულნი,
ბედის ლახტის ქვეშ თითონა ძრწიან
და ჩვენც დაღუპვას გვექადებიან.

ბნელსა და ტანჯვას მეც ვხედავ ყველგან,
მეც მიმიპყრია იმათთვის თვალი,
მაგრამ არა ვთრთი და არა ვწუხვარ,
რადგან გონი მაქვს ნათელ ფხიზელი.

მე მომყევთ ყველა! შევმუსროთ ბნელი,
და შევაჩვენოთ მის ძლიერება!.
სული ცოცხალი და აღგზნებული
მისგან მუდამ ვერ შეიბოჭება.

აღვიგზნათ გული გონების ცეცხლით!
ბრძოლა დავიწყოთ გაცხარებული!..
მაშინ გამოვალთ ყველანი ბნელით
ბრძოლისა ველზედ გამარჯვებულნი.



გრიგორი არწრუნი.

— „კარგა გაბედულად მღერის!—ამბობდნენ ბულბულნი...—ახალგაზდურ-გაბედული სიმღერაა და თუმცა ცოტა მუსიკალურის მხრივ სუსტია, ძალა და რიხი კი მაინც არ აკლია“. ღრმად ჩაფიქრებული ბულბულნი ნისკარტებს იწმენდდნენ და ყურს უგდებდნენ.

ვინც გმირად მოჰკვდა ბრძოლისა ველზედ
იგი იძლია და ძირს დაეცა?
მკვდარი ის არის, ვინც თავის მკერდი
მხდლად დაიფარა და მტერს გაექცა.

მკვდარია ისიც ვინც შრომას უფრთხის,
ვისაც აშინებს ტკივილი, წყლული
და ვინც ბრძოლაზედ სხვა გვარად ფიქრობს,
სიბრძნის ბურუსით გარემოცული.

—„ოჰო... ძალიან ორიგინალური შეხედულებანი ჰქონია!..—შენიშნეს ბულბულებმა. ნეტა ვიცოდეთ, რა ფრინველია?..“

ძმებო, რას დავდევთ, სდუმდნენ ეს მკვდრები
ეს უსასონი ვლენ უსინათლოთ
მათს ამაყობას და სინდისს სძინავს,
მაშ, მეგობრებო, მოდი შევძახოთ:

შორს ჩვენგან! თქვენი სიბრძნის ნაყოფმა
ღამე გვიქცია მეტ სიწყვდიადეთ,
და ვით სამსალა—ტვინს, სულსა და გულს
უწამლავს ჭაბუკთ... ჩამოგვეცალეთ!

შორს! ჩვენ ღმერთთაცა პირველობისთვის
სასტიკი ომი გამოვუცხადეთ.

—„ოჰო, კარგა გაბედულად ამბობს!—გაიძახოდნენ ბულბულნი.—მეტის მეტი გაბედული სიმღერაა!..“

ჰალა ისმენდა ამ საოცარ სიმღერას და რაღაც ნეტარებას, სიამოვნებას ჰგრძნობდა; ეს გრძნობა ათბობდა და სინათლით ავსებდა მას, ასე გასინჯეთ, ნისლსა და მტვერში გახვეული ხის ტოტნიც კი გამოფხიზლდნენ და წარსულ დღეთა ცხოვრებაზედ დაიწყეს ჩურჩული; იმ ტკბილ გაზაფხულის დღევილნი და იმედები; მაშინ, როცა ფრინველნი ძლიერ მგრძნობიერ ჰიმნებს უგალობებდნენ ზეცას, მზეს და მშვენიერ არე-მარეს; იგონებდნენ იმ ნეტარ დღეებს, როცა სპეტაკი და ღრუბლებისაგან განთავისუფლებული ზეცა, თითქოს თვისკენ იწვევს ფრინვლებს ფრთების საცდელათაო, უსხნიდა თვის დაუ-რულებელ უსაზღვრო ძირს. ეს ის მშვენიერი დღენი იყვნენ, როცა საჭირო არ იყო ძალადატანებული ცხოვრება, რადგან მაშინ ყველას სურდა, სწყუროდა ცხოვრება, რადგან ცხოვრების მიზანსაც ჰხედავდნენ და მის მიღწევის იმედიც უღვიოდათ გულში. აი, ეს დღენი განმეორდნენ, გამოცხადდნენ ჭალის ცხოვრებაში და ბნელსა და ნისლში ვარსკვლავებივით დაიწყეს ბრწყინვა თქვენს ნიჭსა და ღირსებებზედ მაგრამ...



ნეკრასოვი.

ჭივჭავი შეკრთა, ბუმბული ყალხზე შეუდგა და შემოსძახა:

„ჩვენგნითვე შექმნილ ცივსა წყვდიადში
ბუკნაჭოტები გამეფებულან...
და მათსა ცივსა ბრჭყვინავ თვალებში
ბრაზი, სიმკაცრე გამოკრთებიან!..

მკაცრად გაისმის მათი ყვირილი,
ტირილ-ხარხარით შეზავებული
და მათში ისმის დღისა დაწყევა,
ღამეს ნატრიაზენ გამაღლებული...

როდის იქნება ბნელის ბორკილნი
ჩემ ქოჩფა ბუჩქნარს შემომტვრეოდნენ
და სევდიანი ბუკნაჭოს ნაცვლად
შავარდენები აქ ბატონობდნენ.

მაგრამ ულონო შავარდენები
შეშინებულნი ეძებიან ბუჩქებს
გულში იკლავენ მოწოლილ ბოღმას,
როცა ისმენენ სხვის სალხინო ხმებს.

ფრთები ულონოდ ჩამოუშვიათ,
საძრახისად სთვლემს იმათი გული
და აზატ ფრინველთ ვერ შეუგნიათ
ხმა, სიმართლისთვის ამაღლებული.“

ფრინველნი შეშფოთდნენ, გამოცოცხლდნენ.—სად არის, ვინ არის მომღერალი? მიიღოს ჩვენგან ღრმა და წრფელი მადლობა! იმ სიტყვების მთქმელი უსათუოდ მეტად ლამაზი და საუცხოვო ფრინველი უნდა იყოს!

აღტაცებაში მოსული ფრინველნი შეერთდნენ ღრუბელსავით და სიმღერით იქით გასწიეს, საიდანაც გაბედული და ამაყი ხმები მოისმოდნენ.

მაგრამ, როცა მიფრინდნენ, სულ უბრალო ჩვეულებრივი პატარა, წმინდა სანთელივით ყვითელ-ნისკარტა ჭივჭავი კი დაჰხვდათ. ხის შტოზედ შემომჯდარი სირცხვილით წითლდებოდა, როცა ფრინველთა აღტაცებასა და გაკვირვებას ჰხედავდა; პატარამ, ულამაზომ და ბუმბული ყალხზედ შემდგარმა ჭივჭავმა ...

„შორს! ჩვენ ღმერთთაცა პირველობისთვის
სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადეთ!“

არწივს, ქორს, მიმინოს კიდევ შეჰფერის ამისთანა სიტყვების თქმა,—გარდა ამისა მნიშვნელობაც ექნება მათ სიტყვებს, მაგრამ ჭივჭავი... ჭივჭავი უცხადებდეს ღმერთებს ბრძოლასა?.. აქ არის ისეთი რაღაც, რაც სრულიად არ შეჰფერის ნამცეცა ჩიტს და მხოლოდ სიცილს თუ გამოიწვევს ხალხში. ეს ხომ საწყენიც არის ყველა დანარჩენ ჩიტებისთვის. რაღა ჭივჭავი ამბობს ამას და არა ნიბლია ან გულ-წითელა ჩიტი?“

შეშფოთებული და ნაწყენი ფრინველნი შეჰყურებდნენ ჭივჭავს და ჰფიქრობდნენ: „ვნახოთ, ეხლა რითი გათავდება საქმეო?“

„შორს ჩვენგან! თქვენი სიბრძნის ნაყოფმა
ღამე გვიქცია მეტ სიწყვდიადეთ...“

ფრინვლებს ნება-უნებურად ის წყალ-წყალა ჩიტი მოაგონდათ, რომელმაც ზღვას ცეცხლს წაუკიდებო განიზრახა.

აქ ერთი მიხვედრილი საყა ჩიტი დაეკითხა გატაცებულ ჭივჭავს:

— თქვენ იყავით ეხლა, ამ საათში რომ მღეროდით?

— დიაღ...—მიუგო ჭივჭავმა—მე ვმღეროდი, რა იყო?

— კარგი... მერე რითი დაამტკიცებთ თქვენს ნათქვამს? ჩვენ, რასაკვირველია, ეჭვს ვერ შევიტანთ.

ზოგ ფრინველს ეგონა ჭივჭავი პირადობას ეხებაო და სტვენა ასტეხეს. ნიბლიამ კი განაგრძო:

— კარგი, საკმარისია ეგ ჩვენთვის! მაგრამ აი, რა გვიბრძანეთ: თქვენ ეხლა, ასე რომ ვსთქვათ, გვაღვიძებთ ღრმა ძილიდან... დიაღ! და აი სწორედ ამიტომ მინდა გკითხოთ: გაქვთ თქვენ ამის უფლება? ესე იგი, მე ის მინდა გკითხოთ, რის სახელით და რის ძალით მღერით თქვენს სიმღერას?

ჭივჭავი განცვიფრდა და ხმა-ჩაკმენდილი შეჰყურებდა საზოგადოებას.

— ჩვენ შეცდომის გარანტიას ვთხოულობთ, ბატონო; თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, რომ შეცდომები ცოტა არ მოგვსვლია ჩვენ ცხოვრებაში. აი, სწორედ ამიტომ გვინდა გავიგოთ, სად და რისთვის გვიწვევთ—დაეკითხა საყა ჩიტი და კმაყოფილმა, რაღაც სხვისი სიმღერა შემოსძახა: საყა ჩიტებს ხომ საკუთარი არა აქვთ-რა.

ჭივჭავი შეშფოთდა...

ბრმა, უაზრო სტიქიონი, რომელსაც სხვაზე შეუძლიან ბრძანებლობა და არა ჩვენზედ. ის გზა, რომლითაც ჩვენ ვივლით, ჩემთვისაც უცნობია და გამოუცდელი, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მაინც წინ უნდა ვიდოდეთ. იქ, იქ არის ის ბედნიერი მხარე, ის კუთხე, რომელიც ჩვენი შრომის ჯილდოს შეადგენს!

იქ დაგვიხვდება დაუშრეტელი, მუდმივი სინათლე და ჩვენთვის უცნობი საკვირველება; იქ დავსტკბებით ჩვენის ძალის და ძლიერების ხილვით და მთელი ქვეყნიერება გაგვიხდება ასპარეზად. ჩვენ საქმეთა სიდიადეს ვერ წარმოიდგენთ ეხლა, ვერ შეიგნებთ, ჩვენი აზრი და გონება გამოიკვლევენ და გაანათლებენ ყველაფერს. გრძნობანი საკვირველს და ჯერეთ უცნობ ცხოვრებას და სიამოვნებას დაგვანახვებენ; იქ, იქ არის ჩვენი შესაფერისი ცხოვრება!... ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული არ ჩაიქროთ გულში და მედიდურათ ვიდოდეთ ცხოვრების სარბიელზე; განაგდეთ თქვენგან ყოველი ეჭვი... მიიხედეთ უკან და გაითვალისწინეთ, რანი ვიყავით უწინ, იქ ცხოვრების დასაწყისში? თქვენი მაშინდელი რწმენა—აწინდელი იჭვის ერთ ნამცეცათაც არა ღირდა... თუ მიაღწიეთ იქამდის, რომ შეეჩვიეთ ყველაფრის იჭვის თვალით სინჯვას და კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარებას, მაშასადამე, მოსულა დრო, რომ თქვენი თავის და ძალის რწმენა მოგეპოვებინათ, რადგან მხოლოდ დიდ არსებას შეუძლიან მაგნაირ იჭვამდის მისვლა!..

— წინ, წინ!.. ბედნიერების მხარისკენ.

— „წინ!“—შესძახეს, ჭივჭავის სიტყვებით გაამაყებულმა ფრინველებმა.

ჭივჭავს აღფრთოვანების ცრემლები თვალებს უვსებდნენ და სულ „წინ“-ას გაიძახოდა. მასთან ერთად ყველა ფრინველნი გალობდნენ, რადგან ყველა სიხარულსა და ბედნიერებას ჰგრძნობდა, ყველა ჰხედავდა, რომ ცხოვრებისა და ბედნიერების მძლავრი სურვილი გაეღვიძა გულში.

— მოითმინეთ, მოითმინეთ!.. მე სიტყვას ვითხოვ, ბატონებო!.. სიტყვას!

ამას ჰყვიროდა ვერხვის თავზედ შესკუპებული კოდალა და მოჰკრეს თუ არა მის ლაპარაკს ფრინველებმა ყური, იმ წამსვე მისცეს სიტყვის ნება, რადგან კოდალა სულ ხმა მაღლა ჰყვიროდა.

— მოწყალეო ხელმწიფენო!...—დაიწყო კოდალამ.—გთხოვთ გამიგონოთ: კოდალა გახლავართ. მე ჭია-მატლს გიახ-



უნაყოფო ალერსი.—სურათი ფონ-მარგიტისა.

— მე მალაპარაკებს ჩემი ურყეველი რწმენა, რომ ბუნებას ფრინველნი უაზროთ კი არა, მაღალი მიზნებისათვის მოუწვევია ცხოვრებაში. ჩვენ უნდა ვიბრძოდეთ დაუღალავად, შეუფერხებლივ; ვიბრძოდეთ, რომ ყველაფერი დავსჯაბნოთ, ყველაფერს ვსძლიოთ და ჩვენს საკუთარს თვალშივე გავმართლდეთ, რომ შეგვეძლოს თქმა: ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი—ჩვენვე ვართ, ჩვენვე შევადგენთ ყველა ამას და არა

ლებით და ჭეშმარიტება მიყვარს ჭეშმარიტებას მე გამუდმებით ვემსახურები და სწორედ ის მაიძულებს გითხრათ, რომ თქვენ უსინიდისოთ გატყუებენ. ყოველი აქ გაგონილი სიმღერები და სიტყვები, ბატონებო, მტკნარი სიცრუე გახლავთ და მე ვეცდები ეს უკანასკნელი უტყუარის ფაქტებით დავამტკიცო... დიაღ, ფაქტებით, ბატონებო! არა, დაეკითხეთ ეხლა ბ. ჭივჭავს, სად

ბა-დამტკიცება შეეძლოს? ამისთანა ფაქტები, ბატონებო, მას სრულიად არ მოეძებნება, თუმცა კი ისინი მაგისთვის უფრო საჭირონი არიან, ვიდრე ჩემთვის; მათზეა სუყველაფერი დამყარებული; თვით ჩვენც, ბატონებო, ფაქტნი ვართ და ჩვენის არსებობით ბუნების სიდიადეს და სიბრძნეს ვამტკიცებთ, იმ ბუნების, რომელსაც ისე უნდა გვემორჩილებოდეთ, როგორც შვილი დედას.

აბა, განვიხილოთ მიუდგომლად, რა არის იქ—ჩვენ წინ, სადაც ასეთის გატაცებით გვიწვევს ბ. ჭივჭავი. ყველა თქვენგანი გასცდენია ჩვენს ჭალას და, რასაკვირველია, მშვენივრად იცით, რომ იმის იქით მინდორი იწყება—ზაფხულობით მოტვლეპილ-გადამწვარი და ზამთრით—თოვლით მოფენილი; მინდვრის ბოლოს სოფელია და იქ გუცა სცხოვრობს, რომელსაც ჩიტების ჭერა ხელობათ გაუხდია. აი, პირველი სადგური „წინას“ გზაზედ, რომელზედაც ისე ბევრს გელაპარაკებოდათ დღეს ბ. ჭივჭავი.

ვსთქვათ, ავყევით ჭივჭავის სურვილს, რომლის სიწრფელეში მე, ნებას მივცემ ჩემ თავს და, ეჭვს შევიტან, რადგან ვიცი, რომ ჭივჭავნიც აგრეთვე, როგორც სხვა ყველა არსი პოპულიარობისა და სახელის მაძიებელნი და მოყვარულნი არიან; ვსთქვათ, ავყევით მეთქი ჭივჭავის სურვილს და გავუდექით იმ უცხო გზას და ამა თუ იმ მიზეზით ავცდით გუცას ბადეებს და მახეს, ავცდით სოფელს, მაშინ ისევ მინდორზედ გავჩნდებით; მინდვრის ბოლოს ისევ სოფელს შევხვდებით, შემდეგ ისევ—მინდორს, სოფელს, მინდორს... და ვინაიდან დედამიწა მრგვალია, ჩვენ ისევ იმ წერტილს დავუბრუნდებით, საიდანაც პირველად გავალთ, ე. ი. ისევ იმ ჭალაში გავჩნდებით, სადაც ამ ჟამად თქვენი უმ·რჩილესი მონა გელაპარაკებათ.

ნუ თუ ეს არის ის ბედნიერი მხარე, სადაც, ბ. ჭივჭავის სიტყვით, ჩვენი შრომისთვის ჯილდოს მივიღებთ? ეს არის მეთქი, ის ბედნიერი მხარე, გეკითხებით?

მე კარგა გიცნობთ, ბატონებო, ვიცი სადამდის შეგიძლიანთ აჰფრინდეთ, მაგრამ... მეტად მწარეა ჩემთვის ამაზედ ლაპარაკი,—მე ისიც კარგათ ვიცი, რომ არც ერთი თქვენგანი თავის თავზედ მაღლა არც აფრენილა და ვერც აფრინდება.

ბ. ჭივჭავის განძრახვა, რომ თქვენი ყურადღება მაღალფარდოვანი და მკვახე სიტყვების რახა რუხით დაემორჩილებინა, მხოლოდ იმის მაჩვენებელი არის, რომ ის მაღალი აზრისა ყოფილა თქვენზედ, როგორც კეთილ-გონიერ არსებებზედ. ეს განზრახვა დასჯილი უნდა იყოს ჯეროვანად!..

და იმ აზრით გამსჭვალულმა, რომ საზოგადო მოვალეობა აღასრულა, ბრძენმა კოდალამ თავმომწონეთ გადახედა მსმენელთ და ვერხვს ჩაუკაკუნა ნისკარტი.

ფრინველნი გატრუნულნი შესცქეროდნენ ჭივჭავს და ჰხედავდნენ, რომ საცოდავს თვალთაგან მდუღარე ცრემლი სდიოდა. რა ჰქონდა ჭივჭავს სატირალი, თუ არ ის დანაშაული რომელიც ფრინველთ წინაშე მიუძღოდა? ამისთანა პაწაწკინტელა, უფერული, ბეჩავი და ცრუ ჭივჭავი თავისს დანაშაულს ინანიებდა.

სდუმდა ჭალა და ფრინველნიც უხმაუროთ მიდი-მოდიოდნენ თავ-თავის ადგილას. გაჰფრინდა კოდალაც, რომელიც საერთო პატივისცემითა და მოკრძალებით იქმნა გაცილებული.

საშინელი სევდიანი დღე იყო, თითქოს ცაცა და მიწაც რაღაცაზედ ტირილს აპირებენო.

და აგერ, მარტოდ მარტო-დარჩა მტყუანა ჭივჭავი. გაქვავებულივით იჯდა კაკლის ტოტზედ და მხოლოდ ვერხ ... აცახცახებულ ტოტზედ შემომჯდარი ბელურა შეჰყურებდა ც... ბის მოყვარეობით. მაგრამ იმასაც მალე მოსწყინდა მისი ცქერა, დაცინვით წაიღრუნტულა და გაჰფრინდა.

ჭივჭავი კი დარჩა კაკლის ტოტზედ და მწარედ დაჰფიქრდა:

— მე ვიცრუე, დიაღ, ვიცრუე იმიტომ, რომ არ ვიცი რა არის ჭალას იქით, მაგრამ იმედზედ და რწმენაზედ კარგი რა არის ცხოვრებაში!?. მეც მეტი არა მინდოდა-რა, მე მსურდა მხოლოდ გამეღვიძებინა მათში უდროოდ მიძინებული იმედები,—აი რად ვიცრუე... კოდალა იქნება მართალიც იყოს, მაგრამ რაში მეკნაჭება მე იმისი სიმართლე, თუ მძიმე ლოდივით დამაწვება ფრთებზედ და მაღლა ფრენის ნებას არ მომცემს?

მიიხედა უკან და უბედურს, პატარა ჭივჭავს ბუმბული აეშალა. ეს იყო, რაც უნდა მეამბნა.. როცა წაიკითხავ ამ ამბავს, შენ, რასაკვირველია, მიხვდები, რომ ჭივჭავი კეთილშობილია, მაგრამ რწმენა აკლია და ამიტომ გლახაა სულით; კოდალა გონიერია, მაგრამ უგვანო კია, მსმენელი-ფრინველნი თანაგრძნობნი არიან მხოლოდ იმიტომ, რომ ცნობის-მოყვარენი არიან, საქმით კი გულქვა და წვრილმანნი, საზიღარათ წვრილმანნი ბრძანდებიან... ყველა ამის დამნახველს, შენ იქნება გეგონოს მე დავამახინჯე ეს სატირალი და თან სასაცილო ამბავი. იფიქრე ეგრე, იფიქრე, თუ ნუგეშსა გცემს ეგა...

იგ. ჭ—ვ.



უცნაური ხუმრობა

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.